ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
OPEN SOCIETY-GEORGIA FOUNDATION

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა

National Cultural Heritage Program

1997

მოდერნის სტილი

შენობების ფიქსაცია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში

შესრულებლები: ნესტან თათარაშვილი, ბექა დავითური, ბეჟან კუკულაძე, ალექსანდრე ტიტენკოვი

პროექტი ითვალისწინებდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში საქართველოს სამ მნიშვნელოვან ქალაქში მოდერნის სტილით აგებული განსაზღვრული რაოდენობის შენობათა აზომვას, ფოტოსურათებსა და სლაიდებზე აღბეჭდვასა და მათი პასპორტების შედგენას.

საუკუნეთა მიჯნის „მოდერნს" (მისი სახელწოდებანი სხვადასხვა ქვეყნებში არის ასევე: „არ ნუვო", „იუგენდშტილი" და სხვ.) დღეს მთელს მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა. საქართველოში ამ სტილის მრავალი სხვადასხვა დანიშნულების (საცხოვრებელი სახლები, სასწავლებლები, საავადმყოფო, ბანკები, მაღაზიები, ატელიეები, თეატრები თუ კინოთეატრები) და მაღალი მხატვრული ღირსების შენობა არსებობს. მიუხედავად მათი რაოდენობის, ხარისხისა და ფუნქციური და მხატვრული მრავალგვარობისა, ისინი ბოლო დრომდე თითქმის გამოუვლენელი და შეუსწავლელი რჩებოდა. მათი აღნუსხვა და ფიქსაცია კი მით უფრო აუცილებელი და საშურია, რომ ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია (ზოგან ხშირი რემონტების, სხვაგან კი უყურადღებობის გამო ნადგურდება სადარბაზოებისა თუ ოთახების მოხატულობა, ვიტრაჟები, დეკორაციული ელემენტები), ზოგიერთი შენობა არათუ ადრე, ჩვენს თვალწინაც მთლიანად მოისპო, მათი ღირებულება ნაკლებად ესმით ბინების მფლობელებს და ა. შ. სწორედ ამ გარემოებებმა განსაზღვრა მიზანდასახულობა პროექტისა, რომელიც საქართველოში მოდერნის ნიმუშთა გეგმაზომიერი გამოკვლევისა და პოპულარიზაციის პირველ ცდას წარმოადგენს.

ამჟამად შესრულებულია პროექტში ნაგულისხმევი ყველა სამუშაო. ქ. ბათუმში აზომილ იქნა სამი შენობა — საცხოვრებელი სახლი, (პ. მელიქიშვილის ქ. №30); გამოთვლითი ცენტრი (ადრე — ბროლის მაღაზია), მ. კოსტავას ქ. №20; ჭადრაკის სასახლე (ადრე — ქალაქის პარკის სათბური); სამი — ქ. ქუთაისში — თოჯინების თეატრი (ყოფილი ბანკი), წმ. ნინოს

Art Nuveau

Fixation of Buildings in Tbilisi, Batumi and Kutaisi

Implementing team: Nestan Tatarashvili, Beka Davituri, Bezhan Kukuladze, Alexander Titenkov

The project envisaged measuring, recording and making photographs and slides of a definite number of buildings erected in the Art Nuveau style in late 19th and first decades of the 20th cc. in three significant cities of Georgia.

Art Nuveau style of the turn of the centuries (in different countries it is called "Modern", "Jugendstil", etc.) is paid great attention all over the world nowadays. Numerous buildings of this style of different function (dwelling houses, educational institutions, hospital, banks, shops, fashion shops, theatres and cinemas) of high artistic value are preserved in Georgia. Despite their number, qualitative, functional and artistic diversity, up to recently they were still left nearly unknown and unstudied. While their recording and fixation is still more urgent that many of these buildings are in a poor state (in certain cases due to frequent repairs and in other cases due to lack of care, painting of the entrances and rooms, stained-glass and decorative elements are being destroyed), some buildings had vanished not so long ago, owners are hardly aware of the value of these buildings, etc. These circumstances proper had preconditioned goals of the project, which is the first attempt of systematic research and popularization of the Art Nuveau style samples in Georgia.

The whole scope of work foreseen by the project is fulfilled. 3 buildings were measured in Batumi [a dwelling house, 30, P.Melikishvili str., computing centre (former cut glass shop), 20, M.Kostava str., chess palace (former city park hothouse)]; 3 buildings were measured in Kutaisi [puppet theatre (former bank), 9, St.Nino str., a dwelling house, 3, A.Pushkin str., bank (former pawnshop), 33, Z.Paliashvili str.]; 7 buildings were measured in Tbilisi [dwelling houses: 7, G.Leonidze str. (former gloves fashion shop), 3, I.Kargareteli str., 1, Al.Chavchavadze lane, 36, David Agmashenebeli ave., 16, G.Mazniashvili str., 4, Vardtsikhe str., 6, Abo Tbileli str. (entrance)].

In addition to the work specified by the project following work was made: in all the three cities all the samples of Art Nuveau style architecture were listed and indicated on the ground plan, 2 houses in Batumi,

ქ. №9; საცხოვრებელი სახლი — ა. პუშკინის ქ. №3; ბანკი (ყოფილი ლომბარდი) ზ. ფალიაშვილის ქ. №33; ქ. თბილისში კი 7 ნაგებობა (საცხოვრებელი სახლები — გ. ლეონიძის ქ. №7 (ყოფილი ხელთათმანების ატელიე); ი. კარგარეთელის ქ. №3; ალ. ჭავჭავაძის I შესახვევი, №1; დავით აღმაშენებლის გამზირი №36; გ. მაზნიაშვილის ქ. №16; ვარდციხის ქ. №4; წმ. აბო თბილელის ქ. №6 (სადარბაზო).

გარდა პროექტში წინდაწინ შეტანილისა, ჩატარდა დამეტებითი სამუშაოებიც: სამივე ქალაქში აღირიცხა და გენერალურ გეგმაზე იქნა დატანილი მოდერნის არქიტექტურის ყველა მაგალითი, ნაწილობრივ აიზომა (ჩახატულია კროკები, გაზომილია ფასადების და გეგმების ნაწილი, გადაღებულია ფოტოსურათები და სლაიდები) ორი სახლი ქ. ბათუმში, ორი — ქ. ქუთაისში და ერთი — ქ. თბილისში.

სულ შესრულებულია 75 კროკი, გადაღებულია 28 ფოტო და 20 სლადის ფირი.

2 houses in Kutaisi and 1 house in Tbilisi were partially measured (drawings are made, facades and parts of the plan are measured, photographs and slides are taken).

In total: 75 sketches, 28 photographic and 20 slid-films.



ნახ. 64. ქუთაისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №33. ფასადი.

Kutaisi. 33, Z. Paliashvili str., Dwelling house. Exterior wall



ნახ. 65. ბათუმი. მ. კოსტავას ქ. №20. ფასადი.

Batumi. 20, M. Kostava str., Dwelling house. Exterior wall



ნახ. 66. თბილისი. აბო თბილელის ქ. №6. კარის მორთულობა. დეტალები.

Tbilisi. 6, Abo Tbileli str., Door decoration. Details

ნახ. 67. თბილისი. აბო თბილელის ქ. №6. ფასადი.

Tbilisi. 6, Abo Tbileli str., Dwelling house. Exterior wall

ნახ. 68. ბათუმი. პ. მელიქიშვილის ქ. №30. ფასადი.

Batumi. 30, P. Melikishvili str., Dwelling house. Exterior wall







ნახ. 69. თბილისი. აღმაშენებლის პრ. №36. სახლის ფასადი. დეტალები.

Tbilisi. 36, Agmashenebeli aven.,Dwelling house. Exterior wall and details





ნახ. 70. თბილისი. აღმაშენებლის პრ. №36. I და II სართულის გეგმა და ჭრილი.

Tbilisi. 36, Agmashenebeli aven.,Dwelling house. Plan and section of the ground and first floors



ნახ. 71. თბილისი. ლეონიძის ქ. №7. ფასადი.

Tbilisi. 7, Leonidze str., Exterior wall

ნახ. 72. თბილისი. ალ. ჭავჭავაძის I ჩიხი №1. ფასადი.

Tbilisi. 1, Al. Chavchavadze 1st, *lane. Exterior wall*